ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ ო ე ა რ ნ ე ბ ე ბ ი
რესპუბლიკის მთავრობისა

სამხედრო უწყების მიმართ

10 იანვარი 1919 წ. ქალ. ტფილისი.

№ 1

§ 1.

ბორჩალოს მაზრაში ამბოხების და სომხეთის რესპუბლიკასთან ომის გამოწვევის მიზეზების გამოსარკვევად **5** ამა იანვარს შესდგა განსაკუთრებული საგამომძიებლო კომისია შემდეგის შემადგენლობით: თავჯდომარე—საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს თავჯდომარე ღენარალ-მაიორი როინიშვილი, წევრები: ყოფილი წევრი საგლეხო საკრებულოსი აბხაზი, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მყოფი განსაკუთრებულ მინდობილებათა ხარისხოასნი ჩიკვაიძე, სამხედრო გამომძიებელი პოდპორუჩიკი მონასელიძე, მდივანი—შინაგან საქმეთა სამინისტროს ეგზეკუტორი შოთნიევი და თარჯიმანი—საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს მდივნის თანაშემწე გუბერნსკი სეკრეტარი ნადირაძე.

საფუძველი: სიმხედრო სასამართლოს თავჯდომარის ამა წლის 6 იანვრის № 22 რაპორტი.

§ 2

წინასწარ გამოძიების დროს ზემო აღნიშნულ საგამომძიებლო კომისიის წევრებს და მათ შორის თავჯდომარეს, მდივანს და თარჯიმანს შეენახოთ ძველი თანამდებობა და ჯამაგირი. მიეცეთ დღიური სახარჯო **5** ამა იანვრიდან იმ ნორმით, რომელიც დაწესებულია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებით 18 დეკემბრის 1918 წ. № 80, კომისსის წევრის აფხაზის გარდა, რომელსაც უნდა მიეცეს დღიურად 50 აან.

11 იანვარი 1919 წ. ქალ. ტფილისი.

№ 2

ვინაიდგან სამხედრო სამოსამართლო საქმეები ბლომად დაგროვდა საქართველოს ჯარების სამხედრო სასამართლოს დროებით შემადგენლობას, ჩემს მიერ გამოცხადებულს რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებაში (სამხედრო უწყების მიმართ). 1918 წლ. 8 ივლისის თარიღით № 7, მიემატოს ერთი სამხედრო მსაჯული, ერთი სამხედრო გამომძიებელი, ერთი მდივნის თანაშემწე და ორი მწერალი (რომლიდანაც ერთი სამხედრო გამომძიებელისაა). 1918 წლის **23** ნოემბრიდან.

სამხედრო მინისტრი **გიორგაძე**